საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

№2484 2019 წლის 29 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების (ახალი მოდელის საგამოცდო ტესტების შემოწმება და შესაბამისი დასკვნის მომზადება) სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (პროგრამული კოდი: 32 04 01 02 – სსიპ – შეფასებისა

და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროგრამებისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან).

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**